

**ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ
2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ**

სამსახური მუშაობას ახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 18 სექტემბრის #28 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი სფეროა მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამების პროექტების მომზადება და დამტკიცებული პროგრამების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში ამუშავდა 3 ახალი პროგრამა. მათ შორის:
1. პარკინსონით დაავადებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

პროგრამა დაიწყო მაისის თვიდან, ბიუჯეტი - 9650 ლარი, შესრულება - 8170 ლარი. პროგრამით ისარგებლა 40 ბენეფიციარმა. (შესრულება 84%)

2. ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა

პროგრამით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა (1000 ლარი) (100%)

3. ხანდაზმულთა და შშმ პირთა შინმოვლა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში პილოტური პროგრამა განხორციელდა სოფელ ორთაბათუმში მცხოვრებ 40 ბენეფიციარზე. პროგრამის განმახორციელებელი - "კოალიცია შინმოვლა საქართველოში," ბიუჯეტი - 41314 ლარი, გამგეობის თანაგადახდის წილი - 2500 ლარი, რაც გამოყენებული იქნა ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად. (100%)

4. უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტია 12021 ლარი, შესრულება - 12020 ლარი. (100%) ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილების შემდგომი პერიოდიდან უფასო სასადილოებით მომსახურებას ექვემდებარება 21 ბენეფიციარი. პროგრამა ხორციელდება ქ. ბათუმის მერიის ანალოგიური პროგრამით.

5. ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი - 5050 ლარი. შესრულება - 4550 ლარი. (90%) 9 მაისს ფაშიშზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ერთ მონაწილეს გაეწია 500 ლარით დახმარება. ომში დაღუპული 3 მეზობლის ოჯახზე გაწეული იქნა 300-300 ლარით დახმარება და ყვავილებით შეიმკო შინმოუსვლელთა ობელისკი (100 ლარი). 27 სექტემბერს - სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით ერთ ომის ინვალიდზე გაიცა 500 ლარის ერთჯერადი დახმარება, 5 ომში დაღუპული მეზობლის ოჯახზე - 400-400 ლარით დახმარება. 2 გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახებზე გაიცა 250 ლარი.

6. მრავალშვილიანი და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

პროგრამის ბიუჯეტი - 28000 ლარი. შესრულება - 27000 (96%) 2016 წელს გაცემულია მატერიალური დახმარება 26 მრავალშვილიან ოჯახზე - 25000 ლარი. დედ-მამით ობოლ 1 ბენეფიციარზე - 1000 ლარი.

7. მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შეძენისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი – 61000 ლარი. შესრულება – 59400 (97%)

საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 114 ოჯახს მ.შ:

მე-3 შვილის დაბადებასთან დაკავშირებით - 103 ოჯახს (51500 ლარი);

მე-4 შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 10 ოჯახს; (7000 ლარი);

მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 1 ოჯახს. (900 ლარი)

8. 0-70 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ოჯახის წევრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი – 12600 ლარი. შესრულება- 10800 (87%). საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 36 ოჯახს.

9. ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი – 49998 ლარი. შესრულება-40919 ლარი (81%) მომსახურება გაეწია 122 ბენეფიციარს ასაკისა და სოციალური სტატუსის შეზღუდვის გარეშე.

10. დიალიზის განხორციელების ხელშეწყობის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი – 25000 ლარი. შესრულება – 22859 ლარი (91%) თვეში ჰემოდიალიზის 13 სეანსის ჩასატარებლად მგზავრობის თანხით ისარგებლა 28 ბენეფიციარმა, მომსახურეობას ახორციელებდა ქ. ბათუმის 3 კლინიკური საავადმყოფო.

11. მაჭახლის თემის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხელშეწყობის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი – 15960 ლარი. შესრულება – 15960 ლარი (100%)

12. პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი – 23512 ლარი. შესრულება – 21408 ლარი (91%). პროგრამა გულისხმობს 31 ექიმის (ფ/პ) კომუნალური ხარჯითა და პირველადი მედიკამენტებით უზრუნველყოფას. ექიმები განთავსებული არიან 16 პირველადი ჯანდაცვის ცენტრში. მ/შორის რეაბილიტირებულია აჭარის აღმართის, აჭარის წყლის, თხილნარის, სალიბაურის, ახალშენის ფერია-სამების, სარფის, შარაბიძეების პჯდ ცენტრები. მმახინჯაურში, ჭარნალში, ორთაბათუმში ექიმები განთავსებული არიან სხვა სამედიცინო დაწესებულებებში. მ/შორის მახინჯაურის 2 ექიმის იჯარის თანხას ანაზღაურებს გამგეობა აღნიშნული მიზნობრივი პროგრამით.

13. 0-70000 ქულის მქონე ოჯახებისათვის პირველ და მეორე ახლშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს ფინანსური დახმარების გაცემას პირველ ბავშვზე 300 ლარის და მეორე ბავშვზე 400 ლარის ოდენობით.

პროგრამის ბიუჯეტი – 12100 ლარი. შესრულება – 10700 ლარი (88,4%).

საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია:

პირველი შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 13 ოჯახს;

მე-2 შვილის დაბადებასთან დაკავშირებით 17 ოჯახს;

14 ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობის პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სამედიცინო ცენტრებში ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის

მატერიალურ დახმარებას. ბენეფიციარები სარგებლობენ 5 სამედიცინო ცენტრის მომსახურებით. დახმარება განისაზღვრება დღიური 7 ლარის ოდენობით.

პროგრამის ბიუჯეტი – 43120 ლარი. შესრულება – 43120 ლარი (100%).

საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 90 ბენეფიციარს.

პროგრამის ბიუჯეტი 9650 ლარი შესრულება - 8170 ლარი (84%) პროგრამით ისარგებლა 49 ბენეფიციარმა..

სამსახურის მიერ ხორციელდებოდა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2 მიზნობრივი პროგრამის ხელშეწყობა:

--სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამა;

--სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურების პროგრამა.

სამსახური ახდენს პროგრამების ნაწილობრივ მონიტორინგს, თვის ანგარიშების შეგროვებას და წარდგენას აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის.

ერთობლივად განხორციელდა აჭარის ა.რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამა „100 წელზე გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება.“

საანგარიშო პერიოდში შემოსული განცხადებების საფუძველზე სახელწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამებით სარგებლობის მიზნით მოქალაქეებს გაეწია დახმარება. საჭიროების შემთხვევაში _ შუამდგომლობა.

2016 წელს ხანძართან დაკავშირებით შემოვიდა 2 ოჯახის განაცხადი. აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით ფინანსური დახმარება გაეწია ორთავე ოჯახს, თითოეულს 10000 ლარის ოდენობით. შტორმული ქარის შედეგად დაზარალებულ 11 ოჯახს ფინანსური დახმარება გაეწია გამგეობის სარეზერვო ფონდიდან 19251,38 ლარის ოდენობით.

სამსახურის მიერ წარმოებს სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების პრობლემების შესწავლა, ანალიზი და მასალების წარდგენა შესაბამის ინსტანციებში. 2016 წელს მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ მოწოდებული იქნა 94 ოჯახის ვიზუალური გეოლოგიური დასკვნა. სტიქიური მოვლენების ზემოქმედების მიხედვით მოხდა თითოეული ოჯახის დაზიანების ხარისხის შეფასება. დასკვნები მიწოდებული იქნა ოჯახებისათვის.

2016 წელს სტიქიით დაზარალებულ I-II კატეგორიის 50 ოჯახს გადაეცა ბინა სოფელ კაპრეშუმში. დაფინანსდა 2012 წლის მიწისძვრით დაზარალებული 27 ოჯახი მათ შორის 5 ოჯახმა განახორციელა საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოები. 22 ოჯახს 28000 ლარი გამოეყოთ ახალი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად. წლის განმავლობაში სტიქიით დაზარალებული ოჯახები გაყვანილი იყო ქირით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურს შესასრულებლად დაეწერა 2000 –ზე მეტი კორესპოდენცია და მოქალაქეთა განცხადება. ყველა შემთხვევაში რეაგირება მოხდა დროულად.